



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31253007
თარიღი: 27/10/2025

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნიგვზიანისა და ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ბესიკ ტაბიძის მოსახლეობასთან შეხვედრის და 2025 წლის პირველი იახვრიდან დღეის მდგომარეობით გაჩეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახლება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 17. 10. 2025 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნიგვზიანის და ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ბესიკ ტაბიძე, მერის წარმომადგენელი ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი გუჯაბიძე, მერის წარმომადგენელი ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში გონა დარჩია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნანა წილოსანი და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაცნოვრებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნიგვზიანის და ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბესიკ ტაბიძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას და მის მიერ 2025 წელს გაჩეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

მისი თქმით, 2025 წელს თებერვლის თვეში მომხდარმა სტიქიამ დააზარალა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. დიდთოვლობამ შექმნა პორბლემები, მაგრამ მისი აქტიური ჩართულობით, ასევე როგორც ადგილობრივი, ისე მხარის და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით 24 საათიან კომუნიკაციაში იყვნენ მოსახლეობასთან და მათ საჭიროებებს დროული დახმარება აღმოუჩინეს.

არც ერთი სახლი, რომელსაც ჰქონდა დაზიანება არ დარჩენილა უყურადღებოდ. დაზარალებულ ადამიანებს გაეწიათ შესაბამისი დახმარება, ზოგს სახლის სახურავი მთლიანად გადაუხურეს, ზოგმაც მიიღო შესამაბილი კომპენსაცია.

მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსახლეობას ასევე აცნობა, რომ ნიგვზიანში არსებული დედათა მონასტრის გადახურვის, ასევე მუსლიმთა სალოცავის გადახურვის ფაქტი.

ბატონმა ბესომ ისაუბრა, 2023 წლის 8 სექტემბრის სტიქიაზეც და აღნიშნა, რომ ნიგვზიანსა და ნინოშვილში დაახლოებით 50-მდე ოჯახი განსახლებაში იმყოფებოდა და ის ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული ფართი სახელმწიფოდან დახმარების სახით ერთჯერადად 50 ათას ლარს მიიღეს.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ ისაუბრა ბუნებრივი აირის საკითხზე.

მისი თქმით, ბევრს ეგონა რომ ეს უტოპია იყო, მაგრამ უკვე დაწყებულია გაზიფიცირების სამუშაოები, რომ არა თებერლის თვეში მომხდარი სტიქია, უკვე ქსელში გამჭვებული იქნებოდა. შესაბამის კომპანიებთან მიღწეულია შეთანხმება და ძალე დაიწყება განაცხადების მიღება და ბუნებრივი აირი ნიგვზიანის ადმინისტრაციის ყველა სოფელში იქნება.

პრობლემად ისევ რჩება სასმელი წყალი და ამ საკითხზეც არის სიახლე. უკვე გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია, რომელიც იწყებს წყლის პროექტირებას და ერთხელ და სამუდამოს ნიგვზიანის თემში წყლის პრობლემა გადაიჭრება.

მაჟორიტარი დეპუტატის თქმით, ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ სოფელ ხაჯალიაზე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღი, რომელიც 100 პატარაზეა გათვლილი. ასევე ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღი აშენდა ნიგვზიანის თემშიც, რომელიც გათვლილია 75 ბავშვზე.

წელს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი საექიმო უბანი გაკეთდა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში. რაც ძალიან კარგი და სათუთი საქმეა. ძალე მას ნათელა დობორჯგინიძის სახელი მიენიჭება.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ბაღის მიმდებარე ტერიტორია იყო დაჭაობებული, რომლის მოსაწესრიგებლად 300 მანქანა მიწის შეტანა გახდა საჭირო. მისი თქმით, ტერიტორია შეიღობა კაპიტალურად, ბაღს ორივე მხრიდან გაუკეთდა შესასვლელი კარები, მოეწყო გარე განათება, დაირგო რამდენიმე ათეული ნიგვზის ხე.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების, ხიდების და გაბიონების სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და ეტაპობრივად ხდება მათი აღდგენა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ისაუბრა, ხაჯალიის და ნიგვზიანის სკოლების შესახებ. ორივე სკოლაში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაკეთდა. პრობლემა იყო ნიგვზიანის სკოლის სპორტული დარბაზი და ისიც ძალიან ძალე მოწესრიგდება. სპორტული დარბაზის მშენებლობისთვის საჭირო 1,5 მილიონი ლარი უკვე სკოლის ანგარიშზეა და სამუშაოებიც შესაბამისად დაიწყება.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ ასევე აღნიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციულ აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც 50 ბავშვზეა გათვლილი.

მისივე თქმით, ნინოშვილში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სტადიონი აშენდა, რომელიც მუნიციპალიტეტში გამორჩეულია თავისი სიდიდით.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა სახლ-მუზეუმის შესახებ განხორციელებულ და განსახორციელებელ ღონისძიებებზე. მან აღნიშნა, რომ არ არსებობდა მუზეუმთან მისასვლელი გზა, ასევე არ იყო განათება. მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევით გაკეთდა ახალი შენობა, ეზოში მოეწყო „ბუნგალო“ და მოწესრიგდა განათების საკითხი. მისი თქმით, მოხდა მიმდინარე წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული ღობის აღდგენა და მოეწყო გაბიონი.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ, მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მიმართა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემის შესახებ.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა ბესიკ ტაბიძეს აქტიურობისა და თანადგომისთვის, მისი ძალისხმევით და მხარდაჭერით განხორციელებული სამუშაოებისთვის.

დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ, ორი ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ როგორც საკრებულოს წევრი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და თანამდებობის პირი, ყველა ღონეს იხმარს, ბიუროსა და თითოეული საკრებულოს წევრთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერთან, სხვა აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევით, მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს ნიგვზიანის და ნინოშვილის

ადმინისტრაციული ერთეულების და მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.
პატივისცემით,

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი